

1. მომსახურების შეჩერების (პაუზა) წესები და პირობები

- 1.1 აბონენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს სასურველი მომსახურება (შეჩერება ვრცელდება ფიქსირებული ინტერნეტის, მაგთისატის და IPTV მომსახურებებზე) წინამდებარე პირობების შესაბამისად. შეჩერების პერიოდში აბონენტს არ მიეწოდება შეჩერებული მომსახურება.
- 1.2 შეჩერებით სარგებლობისათვის, მოთხოვნილი შეჩერების გააქტიურების თარიღზე, სააბონენტო ანგარიშზე უნდა იყოს დადებითი ბალანსი (მინიმუმ მომდევნო დღის სააბონენტოს გადასახდელი და შეჩერების 30 დღიანი პერიოდის საფასური), წინააღმდეგ შემთხვევაში აბონენტს შეჩერება არ გაუაქტიურდება. ოპერატორი უფლებამოსილია მომსახურების დროებითი შეჩერება შესთავაზოს დავალიანების მქონე აბონენტებსაც.
- 1.3 მომსახურების შეჩერების მოთხოვნა შესაძლებელია, მიმდინარე თარიღზე (მოთხოვნის დღეს მომენტალურად) ან სამომავლო თარიღზე. ამასთან, პორტალიდან მომსახურების შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნის დღეს. თუ აბონენტის მიერ მოთხოვნილია შესაბამისი მომსახურების მიმდინარე თარიღზე შეჩერება, მომსახურება შეჩერდება მოთხოვნის მომენტში და ანგარიშიდან ჩამოეჭრება მომსახურების შეჩერების საფასური, ამასთან აბონენტს ჩამოეჭრება დაპაუზების დღის სააბონენტო გადასახდელი. თუ მომსახურების შეჩერება მოთხოვნილია - სამომავლო თარიღზე, მაშინ მომსახურება შეჩერდება მოთხოვნილ თარიღზე და აბონენტს ჩამოეჭრება მომსახურების შეჩერების საფასური და დღის სააბონენტო გადასახდელი.
- 1.4 მომსახურებ(ებ)ის დროებითი შეჩერების ღირებულება 30 დღემდე შეადგენს 3 (სამი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- 1.5 აბონენტი ვალდებულია მის მიერ მითითებულ თარიღში სააბონენტო ანგარიშზე იქონიოს დღის სააბონენტო გადასახდელი და მომსახურების შეჩერების საფასური, სხვა შემთხვევაში მომსახურების შეჩერება არ გააქტიურდება. ამასთან, აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს ყოველი შესაბამისი 30 დღიანი პერიოდის გასვლამდე ახალი 30 დღიანი პერიოდის შეჩერების საფასურის სააბონენტო ანგარიშზე განთავსება.
- 1.6 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში სარგებლობს ინტერნეტითა და IPTV მომსახურებით, შესაძლებელია აღნიშნული მომსახურებების შეჩერება, როგორც ცალკე, ისე ერთობლივად. ამასთან, თუ სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში არსებული ერთი კონკრეტული მომსახურების შეჩერების მომენტისათვის (შემდგომში - შესაჩერებელი მომსახურება) უკვე არსებობს ამავე სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში შეჩერებული სხვა მომსახურება (შემდგომში - შეჩერებული მომსახურება), შესაჩერებელი მომსახურება შეჩერდება დამატებითი თანხის გადახდის გარეშე, იმ პერიოდით, რა პერიოდიც არის დარჩენილი შეჩერებული მომსახურების შეჩერების 30 დღიანი პერიოდიდან (რომლის საფასურის ანგარიშსწორება უკვე განხორციელებულია შესაჩერებელი მომსახურების შეჩერების თარიღზე), აღნიშნული პერიოდის ამოწურვის შემდგომ შეჩერებით სარგებლობისათვის აბონენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი შეჩერების საფასურის გადახდა.
- 1.7 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში სარგებლობს რამოდენიმე IPTV მომსახურებით, მომსახურებების შეჩერებისას ჩერდება ყველა IPTV მომსახურება.
- 1.8 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში სარგებლობს რამოდენიმე მაგთისატის მომსახურებით, შესაძლებელია როგორც ცალკეული, ისე ყველა მომსახურების შეჩერება. შეჩერების საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს თითოეულ მომსახურებაზე.
- 1.9 მომსახურების შეჩერება ან შეჩერების შეწყვეტა შესაძლებელია:
 - ✓ ოპერატორის ცხელ ხაზზე დარეკვით; ან
 - ✓ ოპერატორის მომსახურებისა და რეალიზაციის ოფისში წერილობითი მოთხოვნის წარდგენით ან
 - ✓ ოპერატორის პორტალიდან.
- 1.10 მომსახურებ(ებ)ის შეჩერება ხორციელდება წელიწადში მაქსიმუმ 360 დღის ვადით. 361 დღეს აბონენტს აღუდგება ის სტატუსი, რომელიც ჰქონდა მომსახურების შეჩერების მომენტში.
- 1.11 შეჩერებით სარგებლობის ამ პირობების შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, თუ აბონენტის მიერ

სრულად არ არის გამოყენებული 30 დღემდე პერიოდი, აბონენტს გადახდილი საფასური უკან არ დაუბრუნდება. ისევე როგორც, არ ხდება აბონენტისათვის წინა შეჩერებისას გამოუყენებელი დღეების გამოყენების უფლების მინიჭება.

- 1.12 სააბონენტო ანგარიშზე შეჩერების საფასურის ჩამოჭრის დღეს არასაკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, აბონენტს ვერ გაუაქტიურდება შესაბამისი შეჩერება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მომსახურება უკვე შეჩერებულია და ვერ განხორციელდება შეჩერების გასაგრძელებლად საჭირო თანხის ჩამოჭრა, აბონენტს აღუდგება ის სტატუსი, რომელიც ჰქონდა მომსახურების შეჩერების მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი ერთი სააბონენტო ანგარიშის ფარგლებში სარგებლობს რამდენიმე მაგთისათვის მომსახურებით, რომელთა შეჩერება განხორციელდა ერთ თარიღში და ვერ განხორციელდება შეჩერების გასაგრძელებლად საჭირო ჯამური თანხის ჩამოჭრა, აბონენტს ყველა შეჩერებულ მაგთისათვის მომსახურებაზე აღუდგება ის სტატუსი, რომელიც ჰქონდა მომსახურების შეჩერების მომენტში.
- 1.13 მომსახურების დროებითი შეჩერების შემთხვევაში აბონენტს უნარჩუნდება სააბონენტო საიდენტიფიკაციო ნომერი (UID), ასევე აბონენტის სარგებლობაში რჩება მომსახურების აპარატურის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება აბონენტისათვის მომსახურებ(ებ)ის მისაწოდებლად.
- 1.14 დისტანციური არხ(ებ)ის მეშვეობით მოქმედების წარმოება ხორციელდება უშუალოდ აბონენტის მხრიდან, რა შემთხვევაშიც მისი თანადროული კონსულტირება კონკრეტულ ოპერაციასთან/მოქმედებასთან დაკავშირებით შეუძლებელია ოპერატორის წარმომადგებლის მიერ და ასეთ დროს აბონენტი დისტანციური არხ(ებ)ით სარგებლობისას თავად წარმართავს დროებითი შეჩერების აქტივაციის, დეაქტივაციის პროცესს. დისტანციურ არხებში მოცემული სარგებლობის პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინამდებარე პირობებისაგან, რის თაობაზეც შესაბამისი შეტყობინება მოცემული იქნება დისტანციური არხ(ებ)ის შესაბამის განყოფილებაში და ამდენად დისტანციური არხ(ებ)ის მეშვეობით აქტივაციის, დეაქტივაციის თუ სარგებლობის შემთხვევაში აბონენტი ავტომატურად ეთანხმება აღნიშნულ განსხვავებულ პირობებს, რასთან დაკავშირებითაც არ შეიძლება მომავალში ჰქონდეს რაიმე სახის პრეტენზია თუ მოთხოვნა.